



საგადასახადო სიახლეები - ნოემბერი 2024

ცვლილება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციაში

2024 წლის 27 ნოემბერს ცვლილება შევიდა ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებით დამტკიცებულ „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში. შეიცვალა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის ფორმა, რომელიც 2024 წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდიდან ამოქმედდება. განაცემთა დეკლარაციის „დანართი ა“-ში საგადასახადო შეღავათების ნაწილში ცალკე გამოიყო საპენსიო შენატანის (2%-ის) გრაფა, როგორც საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული განაცემი, რაც ადრე არსებულ დეკლარაციის ფორმაში გამოყოფილი არ იყო და სხვა შეღავათებთან ერთად ჯამურად აისახებოდა. ასევე ცალკე გამოიყო სხვა განაცემების უჯრა.

დეკლარაციის ფორმიდან ამოღებულია 2008 წლის 1 იანვრამდე დარიცხულ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი უჯრა და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- 56¹ უჯრა: 2008 წლის პირველ იანვრამდე გაუცემელი ანაზღაურებებიდან, საანგარიშო პერიოდში გაცემული ანაზღაურება;
- 56² უჯრა: 2008 წლის პირველ იანვრამდე გაუცემელი ანაზღაურებებიდან საანგარიშო თვეში გაცემულ ანაზღაურებაზე გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი (განაკვეთი 12%);

დეკლარაციის ფორმიდან ამოღებულია უჯრები, რომლებიც ეხებოდა 2008 წლამდე დარიცხულ და სოციალურ გადასახადთან დაკავშირებულ ანაზღაურებას:

- 56³ უჯრა: გაცემული ანაზღაურების ოდენობა, რომელსაც სოციალური გადასახადი შეეხებოდა.
- 56⁴ უჯრა: გაცემულ ანაზღაურებაზე დარიცხული სოციალური გადასახადი.
- 56⁵ უჯრა: გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი აღნიშნულ ანაზღაურებაზე.

აღნიშნული ცვლილებები დეკლარაციის შევსების პროცედურას გაამარტივეს და უზრუნველყოფს უფრო ზუსტ და გამჭვირვალე საგადასახადო პროცესს.

დამტკიცდა „საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის იდენტიფიცირების, წერილობითი ან/და ელექტრონული გაფრთხილების, ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხის დაბრუნების, ჯარიმის დაკისრების და აღსრულების წესი“

დამტკიცდა „საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის იდენტიფიცირების, წერილობითი ან/და ელექტრონული გაფრთხილების, ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხის დაბრუნების, ჯარიმის დაკისრების და აღსრულების წესის“ დამტკიცების შესახებ” წესი, რომლის მიხედვითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს 2024 წლის 31 მაისის №014 ბრძანება „საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის იდენტიფიცირების, წერილობითი ან/და ელექტრონული გაფრთხილების, ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხის დაბრუნების, ჯარიმის დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული წესი განსაზღვრავს საპენსიო სააგენტოს მიერ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის იდენტიფიცირების, გაფრთხილების, ჯარიმის დაკისრების, ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხის დაბრუნების და აღსრულების წესს და პროცედურებს.

ცვლილება ძალაში შევიდა 12 ნოემბერს, 2024 წელი.

ცვლილება ამოუღებელი დებიტორული დავალიანებისა და გადახდილ ავანსების მეთოდურ მითითებაში

ცვლილება შევიდა „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანებაში. კერძოდ დაემატა დანართი N11 - მეთოდური მითითება „დებიტორული დავალიანების შესახებ“, რომელიც არეგულირებს საგადასახადო შემოწმების ფარგლებში საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის დებიტორულ დავალიანებებთან ან/და გადახდილ ავანსებთან დაკავშირებით შესაძლო საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხს.

ახალი მითითების თანახმად, საქონლის/მომსახურების მიწოდების შემთხვევაში თუ წარმოიქმნება დებიტორული დავალიანება, რომელიც გონივრულ ვადაში არ იქნება გადახდილი, შემოსავლების სამსახურმა შესაძლოა აღნიშნული თანხები ჩათვალოს როგორც ამოღებული დებიტორული დავალიანება და შესაბამისი თანხები განიხილოს დირექტორზე გადახდილ ხელფასად და დაბეგროს საშემოსავლო გადასახადით. ცვლილებამდე არსებული მიდგომით შესაძლებელი იყო აღნიშნული თანხა დაკვალიფიცირებულიყო როგორც გაცემული კაპიტალის შემცირება, სესხი, ან დივიდენდი.

ახალი მითითების მიხედვით, მსგავსი მიდგომა იქნება გამოყენებული გადახდილი ავანსების შემთხვევაშიც. თუ კომპანიამ საქონლის/მომსახურების შესაძენად გადაიხადა ავანსის თანხა და არ

განხორციელდა საქონლის/მომსახურების მოწოდება გონივრულ ვადაში შემოსავლების სამსახურის მიერ განიხილება კომპანიის დირექტორზე გაცემულ ხელფასად.

ასევე, განახლებული რედაქციით ჩამოყალიბდა დანართი N8 - მეთოდური მითითება „კრედიტორული დავალიანების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრება პირობები/კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისი მტკიცებულებების არსებობისას სრულად იქნება გათვალისწინებული ნაღდი ანგარიშწორებით გადახდილი არარეზიდენტი მომწოდებლის მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანება. აღნიშნული მეთოდური მითითებით ასევე განისაზღვრა შემთხვევები, როდესაც ნაწილობრივ მოხდება ხარჯის გათვალისწინება.

ცვლილება გამოქვეყნდა 04 ნოემბერს, 2024 წელი.

ცვლილება თამბაქოს ნაწარმზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნით საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის წესში

ცვლილება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, რომელის მიხედვითაც საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ მიწოდებულ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასსა და საგადასახადო ორგანოს მიერ განსაზღვრულ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასს შორის არაუმეტეს 2-პროცენტიანი სხვაობის არსებობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურის მიერ გამოიყენება საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი მონაცემები. ასევე, თუ საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მიწოდებულ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასსა და შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ფასის შესახებ მონაცემებს შორის სხვაობა აღემატება 2 პროცენტს (ცვლილებამდე, 6 პროცენტი), გამოიყენება შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი.

2025 წლის აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი დგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით არაუგვიანეს 2024 წლის 20 დეკემბრისა და გამოიყენება 2025 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში.

ცვლილება ძალაში შევიდა 29 ნოემბერს, 2024 წელი.

ცვლილება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის № 996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში

ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის № 996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში. ცვლილების მიხედვით:

- საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშობებში ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ ტოტალიზატორის თამაშობებში

მონაწილეობის შედეგად მიღებული მოგება და სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა;

- პირისთვის, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ ტოტალიზატორის თამაშობებში მონაწილეობის შედეგად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზებიდან იღებს შემოსავალს/მოგებას, აღნიშნული საქმიანობის ნაწილში საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად განისაზღვრა უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და ამ მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა;
- იმ პირისთვის, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ ტოტალიზატორის თამაშობებში მონაწილეობის შედეგად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზებიდან იღებს შემოსავალს/მოგებას, საშემოსავლო/მოგების გადასახადის განაკვეთად განისაზღვრა 5%.

ზემოაღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე ცვლილება შევიდა ფინანსთა მინისტრის N 996 - ბრძანებით დამტკიცებულ ანგარიშგების შესაბამის ფორმებში, კერძოდ: საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციისა და მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციაში.

ცვლილება ამოქმედდება 2024 წლის 1 დეკემბრიდან და გავრცელდება 2024 წლის დეკემბრის და მის შემდგომ საანგარიშო პერიოდებზე წარსადგენ დეკლარაციებზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

პუბლიკაციაში გთავაზობთ ზოგად ინფორმაციას. მხოლოდ მასზე დაყრდნობით, კონკრეტულ საკითხზე, გადაწყვეტილების მიღება არ არის რეკომენდირებული. გადაწყვეტილების მიღებამდე, მნიშვნელოვანია მიიღოთ კონსულტაცია. **DGN Consulting**-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ზიანის გამო, რომელიც გამოწვეულია იმ ქმედებებით ან უმოქმედობით, რომლებიც განხორციელდა ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუ გსურთ ამ საკითხების განხილვა თქვენთვის რელევანტური კონკრეტული გარემოების კონტექსტში, გთხოვთ დაუკავშირდეთ **DGN Consulting**-ს

შორენა იმესაშვილი
მმართველი პარტნიორი
SImesashvili@dgn.ge

ანა ლობჯანიძე
მენეჯერი, საგადასახადო მიმართულება
ALobzhanidze@dgn.ge